ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

WECF

ქალი და რეალობა
WOMAN AND REALITY

პოლიტიკის დოკუმენტი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის

2022

შესავალი/მიზნის შესახებ განცხადება

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის - „ქალების ძალა-ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობა ინკლუზიური საზოგადოებისთვის საქართველოში“, ან შემოკლებული ვერსიით „ქალების ძალა ინკლუზიისთვის“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაცია „ქალები საერთო მომავლისთვის (WECF) ისეთ ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, როგორიცაა ქალთა ფონდი საქართველოში, ქალი და რეალობა, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, პანკისის ქალთა საბჭო და რაჭის სათემო ორგანიზაცია.

დოკუმენტზე იმუშავა კავშირმა “ქალი და რეალობა” (W&R), რომელიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შემდგომში (შშმ) ქალთა და გოგონათა საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაცია. W&R-ის მისიაა შშმ ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობის გათანაბრება საზოგადოების სხვა დანარჩენი წევრების უფლებებსა და შესაძლებლობასთან. W&R დაარსდა 2012 წელს, საქმიანობის არეალია როგორც დედაქალაქი, ისე, საქართველოს რეგიონები.

შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია წინ წამოწიოს ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც არსებობს შშმ ქალებისა და გოგონების გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის.

პოლიტიკის დოკუმენტი მომზადებულია, საქართველოში ჩატარებული კვლევების ანალიზის, ასევე პროექტის ფარგლებში ჩატარებული მცირემასშტაბიანი კვლევების მიგნებებზე დაყრდნობით.

მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობის მაჩვენებელი ქალებს შორის უფრო მაღალია (19.2%), ვიდრე კაცებს შორის (12%). გარდა ამისა, გლობალური შეფასებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ)პირთა მომვლელების 57-დან 81%-მდე, ასევე, ქალია, რაც შეზღუდული შესაძლებლობის საკითხს გენდერის ჭრილში კიდევ ერთ განზომილებას უმატებს.[1] საქართველოში ოფიციალური სტატისტიკით 18 წლის ასაკის ზემოთ 44 235 ქალია [2].

შშმ პირთა პოლიტიკაში გენდერული თანასწორობა გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციით(UNCPRD) არის გარანტირებული (ძალაშია 2014 წლიდან) [3].

სახელმწიფოები, რომლებიც მიერთებული არიან კონვენციას იღებენ შშმ პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებათა განხორციელების ხელშეწყობის, დაცვისა და უზრუნველყოფის ვალდებულებას. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კონვენცია ცალკე გამოყოფს შშმ ქალებს (მუხლი 6) რითაც ხაზს უსვამს შშმ ქალების განსაკუთრებულ მოწყვლადობას და ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა:

> *„შშმ ქალების სრულყოფილი განვითარების, წინსვლის, დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და მათთვის ამ კონვენციით გამყარებული ადამიანის უფლებებითა და ყველა ფუნდამენტური თავისუფლებით თანასწორად სარგებლობის გარანტირებისათვის”*

საკანონმდებლო ჩარჩო/სიტუაციის ანალიზი

---

[1] შშმ ქალები საქართველოში (2021), https://tinyurl.com/4497sju6

[2] შშმ პირთა სტატისტიკა იხ. აქ: https://tinyurl.com/3tv7ubuk

[3] გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენცია იხ. აქ: https://tinyurl.com/mwv5t7nx

საერთაშორისო განვითარების სხვადასხვა დღის წესრიგის ფარგლებში საქართველომ შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებში ინკლუზიური განვითარებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით მტკიცე ვალდებულებები აიღო. ქვეყანამ 1994 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციისა (CEDAW) და ბავშვთა უფლებების კონვენციის (CRC) რატიფიცირება მოახდინა, ხოლო 1995 წელს პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის (BPfA) მონაწილე გახდა. 2014 წელს კი საქართველომ შშმ პირთა უფლებების კონვენციის (CRPD) რატიფიცირებაც მოახდინა. ქვეყანა, ასევე, მხარს უჭერს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგს და მდგრადი განვითარების 17 მიზანს, რაც შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებთან დაკავშირებულ მთელ რიგ ინდიკატორებს მოიცავს.

ეროვნულ დონეზე საქართველომ შშმ პირთა მხარდამჭერი კანონები მიიღო, მათ შორის, 2010 წელს - კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ და 2019 წელს - ბავშვთა უფლებების კოდექსი. 2020 წელს შშმ პირთა უფლებების შესახებ მიღებული კანონი კი სრულად ძალაში 2021 წელს შევიდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის თემატური მოკვლევის დოკუმენტში[4] ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია არის <u>ეროვნული კანონმდებლობის სრული ჰარმონიზაცია კონვენციის პრინციპებსა და მიდგომებთან</u> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობისთვის დღემდე არ არის ჰარმონიზებული გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციასთან და შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს 2020 წლის კანონთან. ასევე არც ადამიანის უფლებათა დაცვის 2030 წლის სტრატეგია და არც გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა არ სვამს აქცენტებს შშმ ქალების განსაკუთრებულ მოწყვლადობაზე და არ ითვალისწინებს სპეციფიკურ ღონისძიებებს ამ მოწყვლადობის შემცირების უზრუნველსაყოფად.

არაერთი კვლევის თანახმად, შშმ ქალები და გოგოები სირთულეებს აწყდებიან სისტემური მარგინალიზაციის, დამოკიდებულებებისა და გარემოს, ასევე - განათლებაზე, ჯანდაცვაზე (მათ შორის, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე), ინფორმაციასა და სერვისებზე, მართლმსაჯულებაზე, სამოქალაქო და პოლიტიკურ მონაწილეობაზე წვდომის კუთხით. ამასთან ერთად, მათ დაბალი ეკონომიკური და სოციალური სტატუსი აქვთ და ძალადობის (მათ შორის, სექსუალური ძალადობის) მომეტებული რისკის ქვეშ არიან. მიქსი საქართველო 2018 -ის თანახმად, შშმ ქალებზე თავდასხმების სიხშირე 6-ჯერ მომატებულია არა შშმ ქალებთან შედარებით, მაშინ როდესაც შშმ მამაკაცებში პირიქით მკვეთრად შემცირებულია არა შშმ მამაკაცებთან შედარებით.[5]

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შშმ პირთა გლობალური სამოქმედო გეგმა [6], ხედვასა და მიზნებში ყურადღებას ამახვილებს შშმ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიღწევაზე. არსებული ვითარების მიმოხილვის ნაწილში განმარტებულია, რომ შეზღუდულ შესაძლებლობას ქალებზე არაპროპორციულად მეტი გავლენა აქვს და მეტი რისკის ქვეშ არიან. ჯანდაცვის სერვისების წვდომის მიზანში აღნიშნულია, რომ ასევე ქალთა და გოგონათა

---

[4] პარლამენტის თემატური მოკვლევა შშმ ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ“ (2019): https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/242885

[5] მიქსი საქართველო 2018 _ https://www.unicef.org/georgia/media/5896/file/Mics_Georgian.pdf

[6] მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შშმ პირთა გლობალური სამოქმედო გეგმა იხ. აქ: https://tinyurl.com/53d42hbx

საჭიროებები უნდა იყოს გათვალისწინებული. აღნიშნული გეგმა რეკომენდირებულია გაეროს წევრი ქვეყნებისთვის, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სტრატეგია.

გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირებიდან დღემდე გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, არსებული კვლევებისა და ანგარიშების თანახმად, ნათელია, რომ საკანონმდებლო და საჯარო პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული დადებითი ცვლილებები სრულად არ ასახულა შშმ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, განსაკუთრებით, შშმ ქალებისა და გოგოების შემთხვევაში.

საქართველოს პარლამენტის 2019 წლის თემატური მოკვლევის თანახმად [7] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ“ - საქართველოში არსებული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები ნაკლებად აღიარებს შშმ ქალებისა და გოგონების განსაკუთრებულ საჭიროებებს; სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა და ბიუჯეტის დაგეგმვისას არ ითვალისწინებს შშმ ქალებისა და გოგონებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. აღნიშნული ეხება ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური რეაბილიტაციის, განათლების, დასაქმებისა და სხვა პროგრამებს.

დასახელებული გამოწვევა დღემდე აქტუალურია. დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში 2021 წლის ანგარიშის თანახმად [8] -„შშმ ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვა, პოლიტიკის დონეზე, სახელმწიფოსთვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას. ისინი შშმ თემში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებად რჩებიან. სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს ერთიანი სისტემური ხედვა, ასევე არ ხორციელდება სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება, რაც მათ-თვის მინიჭებული უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობისთვის დამა-ტებითი ხელისშემშლელი ფაქტორია”. ამავე ანგარიშში ვკითხულობთ - „ამასთან, მნიშვნე-ლოვანია, აღინიშნოს, რომ სახელმწიფო დონეზე შშმ პირთა უფლებების დაცვის სფეროში ერთიანი სტანდარტების არარსებობის პირობებში, სახელმწიფო უწყებებისა და მუნიციპალი-ტეტების დიდმა ნაწილმა დაგვიანებით და შშმ თემის მონაწილეობის გარეშე, შეიმუშავა და დაამტკიცა სამოქმედო გეგმები, რომელიც გათვალისწინებულია შშმ პირთა უფლებების შე-სახებ კანონით“. თემატური მოკვლევა მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს შშმ ქალებისა და გოგონების დასაქმებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და აღნიშნავს, რომ - „ არსებული მცირემასშტაბიანი სახელმწიფო ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობას, არ არის გენდერულად მგრძნობიარე და შშმ ქალებისა და გოგონების განსაკუთრებულ საჭიროებებს ვერ ამჩნევს. ადამიანის უფლებათა 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ჩანაწერები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ შშმ ქალების წინაშე არსებულ ბარიერებსა და საჭიროებებს არ ასახავს“.

„შშმ ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში“ სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში ცხადყოფს, რომ შშმ ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვა, პოლიტიკის დონეზე, არ არის პრიორიტეტული მიმართულება. გარკვეული პოზიტიური ცვლილებები, რაც შშმ პირთა უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესების მიმართულებით შესაბამისი რეგულაციებისა თუ პროგრამების შექმნაში გამოიხატება, შშმ ქალებისა და გოგოების უფლებების დასაცავად ეფექტიან გზად ვერ ჩაითვლება. ეს მიდგომები და პროგრამები ვერ ხედავენ შშმ ქალებისა და

---

[7] საქართველოს პარლამენტის 2019 წლის თემატური მოკვლევა იხ.აქ: https://tinyurl.com/4ujt94us

[8] დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში იხ. აქ: https://tinyurl.com/3r7td4uh

გოგოების საჭიროებებს, რომელიც უმეტესად, შესაძლოა, განსხვავდებოდეს შშმ კაცების საჭიროებებისგან. სახელმწიფოს არა აქვს სისტემური ხედვა, როგორ გააუმჯობესოს შშმ ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვა ცხოვრების ყველა სფეროში. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით პრობლემურია სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოების არარსებობა, ურომლისოდაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია სრული სურათის დანახვა, რა მასშტაბის პრობლემასთან გვაქვს საქმე შშმ ქალებისა და გოგოების ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში.[9]

პროექტის „ქალების ძალა ინკლუზიისთვის", ფარგლებში 2021 წელს ჩატარდა კვლევა „მუნიციპალური ბიუჯეტის გენდერული ანალიზი და ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება".[10] კვლევის ფარგლებში შეფასდა სამიზნე რეგიონებში: კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, მცხოვრები შშმ ქალების მდგომარეობა, წვდომა სახელმწიფო სერვისებზე. გამოვლინდა სირთულეები და სოციალური, ეკონომიკური თუ ფიზიკური ბარიერები, რომლებსაც აწყდებიან შშმ ქალები ყოველდღიურ ცხოვრებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულუფლებიან წევრებად მონაწილეობაში. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ შშმ პირები მეტნაკლებად ჩართულები არიან მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამებში. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დახმარებას იღებენ ასევე ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, თუმცა ცალკეულად გენდერული ნიშნით დაყოფა, ან პრიორიტეტი პროგრამებში არ იკვეთება.

„ქალების ძალა ინკლუზიისთვის", პროექტის ფარგლებში W&R-მა 2022 წელს მოამზადა მცირემასშტაბიანი მიმოხილვის დოკუმენტი „შშმ პირთა მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტისა და სამოქმედო გეგმების შეფასება გენდერული პერსპექტივიდან". შეფასების დოკუმენტის თანახმად, 4 სამიზნე რეგიონის: კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ათი მუნიციპალიტეტში (თელავი, სიღნაღი, ლაგოდეხი, ქუთაისი, ბაღდათი, საჩხერე, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ონი და ამბროლაური), ადგილობრივ დონეზე შემუშავებული 2022 წლის შშმ პირთა სამოქმედო გეგმების და სამიზნე მუნიციპალიტეტების პროგრამების ბიუჯეტი არ ითვალისწინებს შშმ ქალთა სპეციფიკური საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათზე რეაგირების ღონისძიებებს. შშმ პირები კვლავ მოიაზრებიან ქველმოქმედების ობიექტებად. მათი ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებები უმნიშვნელოდ არის წარმოდგენილი პოლიტიკისა და ბიუჯეტის დოკუმენტებში. გენდერული პერსპექტივა სამოქმედო გეგმებში მოცემული არ არის. [11]

---

[9] შშმ ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში (2022), იხ. აქ : https://www.ombudsman.ge/geo/190308061623angarishebi

[10] მუნიციპალური ბიუჯეტის გენდერული ანალიზი და ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება(2021), იხ.აქ: https://tinyurl.com/s9axjyz5

[11] შშმ პირთა მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტისა და სამოქმედო გეგმების შეფასება გენდერული პერსპექტივიდან (2022) იხ. აქ:https://wandr.ge/

ქალთა საკითხებში შშმ ქალთა ჩართულობა და მონაწილეობა

საქართველოში შშმ ქალების გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობისთვის ერთადერთ წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ბოლო პერიოდში მათი მონაწილეობა შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის და შშმ პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის აღსრულებისკენ მიმართულ ღონისძიებათა ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფებში. ასევე ცალკეული უწყების მიერ შექმნილ იმ საკონსულტაციო საბჭოებში, რომლებიც მხოლოდ შშმ პირთა საკითხებზე მუშაობას ითვალისწინებს.

ცალსახაა, რომ ქვეყანაში დღეს არც კი განიხილება ქალთა საკითხებში შშმ ქალთა საკითხების ასახვა. შესაბამისად ამ მიმართულებით არ არსებობს კვლევები, რომელიც იმ გამოწვევების იდენტიფიცირებას მოახდენდა რაც აღნიშნული პროცესის დაწყებას აფერხებს.

„ქალების ძალა ინკლუზიისთვის“, პროექტის ფარგლებში W&R-ისა და იმერეთის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობის შედეგად ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრად არჩეულია 2 შშმ ქალი. ეს არის პოზიტიური მიღწევა, რისი გავცელებაც საჭიროა საქართველოს სხვა დანარჩენ რეგიონებშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს არც საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოში არ არის წარმომადგენელი შშმ ქალთა მოძრაობიდან, რაც ხაზს უსვამს შშმ ქალთა ჩართულობის ნაკლებობას პოლიტიკის განსაზღვრის პროცესებში.

ადამიანის უფლებათა კომისრის 2022 წლის, შშმ ქალებისა და გოგონების უხილავობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაკეთებული კომენტარის თანახმად - „როგორც ყველა სფეროში, რომელიც ეხება შეზღუდულ შესაძლებლობას, წინსვლის გზა უნდა მოიცავდეს შშმ ქალებისა და გოგონების სრულ მონაწილეობას და ჩართულობას პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებში და კანონმდებლობაში, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალებსა და შშმ პირებზე, პრინციპის შესაბამისად: „არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე. "[12]

საქართველოში პოლიტიკის დონეზე შშმ ქალებისა და გოგონების წინაშე არსებული გამოწვევები სიღრმისეულად არის გაანალიზებული მხოლოდ ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობის და გენდერული ძალადობის კუთხით. სხვა შემთხვევებში საკითხები, რომლებიც ეხებათ ზოგადად ქალებს და რომლებზეც ხელისუფლებასთან ერთად მუშაობენ ქალთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციები სრულად გამორიცხავს მათ შორის შშმ ქალების ჩართულობას. აღნიშნული თავისთავად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სუსტია ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კოორდინაცია შშმ ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, ასევე ხელისუფლების მიერ სათანადოდ არ არის მხარდაჭერილი გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის და საქართველოს შშმ პირთა კანონის მე-6-ე მუხლის (შშმ ქალები) პოპულარიზაციისა და იმპლემენტაციის ხელშეწყობის პროცესები.

[12] ადამიანის უფლებათა კომისრის კომენტარები იხ. აქ: https://tinyurl.com/2p8x7426

რეკომენდაციები

არსებული კვლევების ანალიზის და პარტნიორული პროექტის „ქალების ძალა ინკლუზიისთვის“ ფარგლებში განხორციელებული, კვლევების მიგნებების და შშმ ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ექსპერტული მოსაზრებების საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები.

- რეკომენდირებულია საქართველოს გენდერული თანასწორობის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციასთან.

- რეკომენდირებულია შშმ ქალთა სრული და ეფექტური მონაწილეობისთვის და გენდერული თანასწორობისთვის, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და სტრატეგიის შემუშავება.

- რეკომენდირებულია განხორციელდეს იმ ბარიერებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება რაც აფერხებს შშმ ქალთა სრულ და ეფექტურ მონაწილეობას პოლიტიკის დონეზე გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობის პროცესში.

- რეკომენდირიბეულია პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში მოხდეს მინიმუმ ერთი შშმ ქალთა მოძრაობის წარმომადგენლის ჩართვა.

გამოყენებული ლიტერატურა

- შშმ ქალები საქართველოში (2021), https://tinyurl.com/4497sju6 ;
- სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკა (2022), https://tinyurl.com/3tv7ubuk ;
- გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის 2006 წლის კონვენცია (2014), https://tinyurl.com/mwv5t7nx ;
- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შშმ პირთა გლობალური სამოქმედო გეგმა (2015) https://tinyurl.com/53d42hbx ;
- შშმ ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობა“ (2019), https://tinyurl.com/4ujt94us
- დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში (2021) https://tinyurl.com/3r7td4uh ;
- DECLARATION Women with Disabilities in Political and Public Leadership: Towards Beijing+25 UN Women, United Nations, New York, 12 June 2019; (https://tinyurl.com/muxu7awy)
- შშმ ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში (2022), https://www.ombudsman.ge/geo/190308061623angarishebi
- მუნიციპალური ბიუჯეტის გენდერული ანალიზი და ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება(2021), https://tinyurl.com/s9axjyz5
- შშმ პირთა მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტისა და სამოქმედო გეგმების შეფასება გენდერული პერსპექტივიდან (2022) https://wandr.ge/
- THE COMMISSIONER'S HUMAN RIGHTS COMMENTS (2022), https://tinyurl.com/2p8x7426